ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ,,ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა თბილისი"-ს წევრების:

1. სევდია უგრეხელიძის
2. ირაკლი აბესაძის
3. თამაზ შოშიაშვილის
4. მამუკა ახვლედიანის
5. თემურ გრიგალაშვილის
6. ირაკლი ნადირაძის
7. მარინა დათუკიშვილის

2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და ,,ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა თბილისი"-ს წევრებმა 2015 წლის 20 ოქტომბერს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამართეს საჯარო შეხვედრა

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 12 ფურცელი
10/18502, 10/18515

მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომწჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციებში მონაწილეობის შესახებ.
(1.01.15-20.10.15)

---

1. სევდია უგრეხელიძე

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 20 სხდომაში;
საკრებულოს ბიუროს 31 სხდომაში;
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 2 სხდომაში (15.01.15-16.03.15;)
- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 13 სხდომაში;
- განათლებისა და კულტურის კომისიის 14 სხდომაში.

2. ირაკლი აბესაძე

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 21 სხდომაში;
საკრებულოს ბიუროს 31 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 3 სხდომაში.
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 7 სხდომაში (30.04.15-20.10.15)
- იურიდიულ საკითხთა კომისიის 10 სხდომაში.

3. თამაზ შოშიაშვილი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 23 სხდომაში.
ფრაქციის 15 სხდომაში;

- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 31 სხდომაში
- სარევიზიო კომისიის 10 სხდომაში

4. მამუკა ახვლედიანი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 19 სხდომაში.

ფრაქციის 15 სხდომაში

- ჯანმრთელობის დაცვისა სოციალურ საკითხთა კომისიის 8 სხდომაში
- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 23 სხდომაში
- გარემოს დაცვის კომისიის 3 სხდომაში (4.08.15-20.10.15)

5. თემურ გრიგალაშვილი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 16 სხდომაში.

ფრაქციის 15 სხდომაში;

- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 24 სხდომაში
- სარევიზიო კომისიის 10 სხდომაში

6. ირაკლი ნადირაძე

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 18 სხდომაში.

ფრაქციის 15 სხდომაში;

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 სხდომაში.
- განათლებისა და კულტურის კომისიის 18 სხდომაში.

7. მარინა დათუკიშვილი

მონაწილეობა მიიღო:

საკრებულოს 5 სხდომაში.

ფრაქციის 6 სხდომაში;

- ჯანმრთელობის დაცვისა სოციალურ საკითხთა კომისიის 3 სხდომაში
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 სხდომაში.

ინფორმაცია ფრაქციების გაწეული საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ

1. ფრაქციების ინიციატივით მომზადდა შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები 2015 წლის ბიუჯეტის შედგენისას.

შენიშვნები:

- შემოსავლები

1. გადასახადები (113111)

პროექტით საწარმოთა ქონების გადასახადი 130 200 000 ლარით განისაზღვრა. 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ გეგმასთან შედარებით 30 მილიონი ლარით გაზრდა განპირობებულია მომავალ წელს საგადასახადო ბარათების გაერთიანების რეფორმის გატარებით, რაც ცენტრალურ ბიუჯეტში ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი ქონების გადასახადის ნაცვლად დამატებული ღირებულების გადასახადის სახით არსებული თანხების გადმორიცხვას უზრუნველყოფს. თუმცა გაუგებარია ამ მიმართულებით 30 მილიონის გათვალისწინება, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტში ამ სახით 40 მილიონი ლარია აკუმულირებული. შესაბამისად საწარმოთა ქონების გადასახადი 2015 წლის ბიუჯეტით უნდა განისაზღვროს 140 200 000 ლარით.

2. გრანტები (1331-1332)

- გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა მომავალი წლის ბიუჯეტში ფინანსთა სამინისტროს მითითებით 412 682 200 ლარით განისაზღვრა. კვლავ გაურკვეველია რა პრინციპით მიიღო ფინანსთა სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება, ისევე როგორც გაურკვეველი იყო 2013 წლის ბოლოს მიღებული მათი ერთპიროვნული გადაწყვეტილება გათანაბრებითი ტრანსფერის

447 616 000 ლარიდან 397 700 00 ლარამდე შემცირების შესახებ, რისი დასაბუთება დღემდე არ მოგვისმენია. თუკი 2015 წლისთვის ყველა რეგიონის ტრანსფერების ცვლილებას გავაანალიზებთ ნამდვილად ბუნდოვანია, რატომ ხდება თბილისის ტრანსფერის ზრდა 2014 წელთან შედარებით მხოლოდ 3.7 %-ით (ხოლო 2013 წელთან შედარებით 11.2 %-ით კლებაა), როდესაც ის მაგალითად, დედოფლისწყაროსთვის იზრდება 31.5 %-ით, ქუთაისისთვის - 9.8 %-ით, რუსთავისთვის 6.2 %-ით, ხოლო ბათუმისთვის საერთოდ არ იზრდება და ა.შ. პასუხი ნათელია, თვითმმართველ ერთეულებს შორის კვლავ მხოლოდ მინისტრის ნოდარ ხადურის შეხედულებისამებრ ნაწილდება სატრანსფერო თანხები ყოველგვარი საქმიანი მიდგომის გარეშე. ხაზგასმით აღსანიშნია, რომ თბილისის გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულება 2015 წლის პროექტით გათვალისწინებულზე მეტი იყო ყოველთვის 2009 წლის შემდეგ 2013 წლის ჩათვლით, ვიდრე ნოდარ ხადურმა არ მიიღო უარგუმენტო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება თბილისელების „დასჯის" შესახებ. აქედან გამომდინარე,თბილისელებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური თუ ინფრაქტრუქტურული პროგრამების განსახორციელებლად თბილისს აუცილებლად უნდა აუღდგეს მინიმუმ 2013 წლის გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა და ის განისაზღვროს 447 616 000 ლარით.

- მიზნობრივი ტრანსფერის სახით დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 400 000 ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდება დელეგირებული უფლებამოსილების შესრულებას, რაც გადამდებ დაავადებათა და ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის განხორციელებაში გამოიხატება (6.1.3). თუმცა ბიუჯეტის პროექტით ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად 450 000 ლარია განსაზღვრული. საქართველოს კონსტიტუციის 101²მუხლის თანახმად,სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით... შესაბამისად, ცალსახაა, რომ მიზნობრივი ტრანსფერის სახით სახელმწიფო ვალდებულია 450 000 ლარი გამოყოს.

3. <u>შემოსავალი მიწის იჯარიდან (14154)</u>
ამ სახით პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ 4 000 000 ლარი, რაც 2013, 2014 წლების მაჩვენებლებზე მცირეა. ნათელია, რომ ამ მიმართულებით სსიპ „ქონების მართვის სააგენტო" მომავალ წელს მუშაობას ფაქტიურად არ აპირებს

(ასეთივე მძიმე მდგომარეობაა არაფინანსური აქტივების კლების კუთხით, სადაც ასევე ბიუჯეტის პროექტი ამ სააგენტოს მუშაობის ძალიან დაბალი ხარისხის მაჩვენებლია). თუმცა საპროგნოზო მაჩვენებლის ახალი პროექტების განხორციელების გზით გაზრდის გარდა, ამ ნაწილში არ არის ასახული თანხები, რომლებიც თბილისის ბიუჯეტის შემოსავალი მომავალ წელს აუცილებლად იქნება, უკვე გასულ წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე. კერძოდ, 1.2.6 კოდით გათვალისწინებული საბაგირო ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში იგეგმება მთაწმინდის საბაგირო გზის მშენებლობა, რაზედაც მომავალ წელს 1 954 716 ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ მთაწმინდის პარკის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს მეიჯარის მიერ საბაგარი გზის აღდგენისთვის დახარჯული თანხების ანაზღაურება (ხელშეკრულების მუხლი 4). შესაბამისად, ნათელია, რომ ამ ხარჯის მომავალ წელს გაწევის შემთხვევაში მთაწმინდის პარკის მოიჯარე კომპანია ვალდებული იქნება თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხოს აღნიშნული თანხა.აქედან გამომდინარე, შემოსავალი მიწის იჯარიდან უნდა განისაზღვროს მინიმუმ 6 000 000 ლარის ოდენობით.

4. <u>არაფინანსური აქტივების კლება (31)</u>

ქალაქის საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვის გზით მომავალ წელს ბიუჯეტში 26 000 000 ლარის მიღება იგეგმება. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის შემდეგ ამ კუთხით ბიუჯეტის შემოსულობა 30 000 000 ლარზე ნაკლები არც ერთ წელს ყოფილა, კერძოდ: 2011 – 39 მილიონი, 2012 – 32 მილიონი, 2013 – 37 მილიონი, ხოლო 2014 წელს დაგეგმილი იყო 35 მილიონი, რომელიც დავით ნარმანიას ინიციატივით განხორციელებული სეკვესტრის დროს განახევრდა. აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოს" მინიმუმ იმ სტანდარტით მუშაობის შემთხვევაში, როგორც ეს გასულ წლებში იყო, ამ თვალსაზრისით რეალურია მინიმუმ 30 000 000 ლარის დაგეგმვა მაინც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სახით თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში დამატებით ჯამურად 50 983 800 ლარი უნდა დაემატოს (გათანაბრებითი ტრანსფერის ზრდაზე ფინანსთა სამინისტროს კვლავ უპრინციპო და უარგუმენტო უარის შემთხვევაშიც კი, ის მინიმუმ 16 050 000 ლარით მაინც უნდა გაიზარდოს).

➢ ბიუჯეტის ასიგნებები - პროექტში არსებული პრობლემები და ხარვეზები

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი კორექტირებას საჭიროებდა თითქმის ყველა მიმართულებით, იმისათვის რომ დაფინანსებულიყო უფრო პრიორიტეტული სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროგრამები. ჩვენ გამოვყავით რამდენიმე მათგანი, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა სხვა მუხლი მისაღები და უხარვეზო იყო.

- 1.1. – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება გაურკვეველია რაიონული გამგეობებისთვის გზების მოვლა-შეკეთებისთვის გამოყოფილი ასიგნებების განსაზღვრის პრინციპი. მაგალითად, გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტი ამ მიმართულებით რჩება ზუსტად იგივე, ნაძალადევის გამგეობაში კი ის იზრდება დაახლოებით სამჯერ, ვაკეში ერთნახევარჯერ და ა.შ. ნათელია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის შედეგი 2015 წელს ქალაქის რაიონებში არსებული ყველა დაზიანებული საგზაო მონაკვეთის შეკეთება არ არის და ვერც იქნება. შესაბამისად, რჩება შთაბეჭდილება, რომ თანხები გარკვეული სუბიექტური მოსაზრებებით განისაზღვრა. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ერთიდაიგივე სამუშაოებზე სხვადასხვა გამგეობებს მნიშვნელოვნად განსხვავებული ფასები უწერიათ, მაგალითად: 10 სმ-იანი სისქის 1 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობაზე საბურთალოს გამგეობა 70 ლარის დახარჯვას აპირებს, ნაძალადევის გამგეობა 65 ლარის, როდესაც ზუსტად იმავე სამუშაოზე კრწანისის გამგეობა 45 ლარს, ხოლო ვაკის გამგეობა 50 ლარს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გამგეობებისთვის ამ მიმართულებით საბიუჯეტო ასიგნებების ასეთი მკვეთრი ზრდა დაუსაბუთებელია და უმჯობესია ეს თანხები სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე (თუნდაც ,,თბილისი საცობების გარეშე") დაიხარჯოს. შესაბამისად, თუკი თბილისის მთავრობას რაიონების მიმართ ექნება საერთო პრინციპი და ჩამოყალიბებული ხედვა, ასევე თუკი გასწორდება ის ხარვეზები, რაც დაშვებულია გაანგარიშებისას რაიონებში გზების მოვლა-შეკეთების პროგრამების ჯამური დაფინანსება შესაძლებელია შემცირდეს 3.5-4 მილიონი ლარით მაინც, რაც ქალაქის განვითარებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეიძლება მოხმარდეს, თუნდაც როგორიცაა,,თბილისი საცობების გარეშე".
- 2.3 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები-

ავარიული სახლების პროექტირებისთვის გათვალისწინებულია 1 000 000 ლარის
გამოყოფა. საინტერესოა, რომ ავარიული სახლების გამაგრებისთვის თბილისის
2015 წლის ბიუჯეტში მხოლოდ 7 550 000 ლარია გათვალისწინებული. წელს უკვე
დაწყებული შენობების გამაგრებაზე მომავალი წლის ბიუჯეტიდან გადასახდელი
თანხა შეადგენს 3 878 979 ლარს, რაც ნიშნავს რომ მომავალ წელს მხოლოდ 3 671
021 ლარით დაფინანსდება სხვა ავარიული კორპუსების დაფინანსება, რაც ჯამში
მაქსიმუმ 5-6 კორპუსის გამაგრებას ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ
თბილისის მერიას უკვე აქვს რამდენიმე ათეული კორპუსის გამაგრების პროექტი,
გაუგებარია რა საჭიროა კიდევ დამატებით დაახლოებით 40 კორპუსის
გამაგრების პროექტის შემენა, თუ მომავალ წელს მხოლოდ მაქსიმუმ 6 კორპუსის
გამაგრება უნდა დაიწყოს. შესაბამისად, ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხა
უნდა შემცირდეს, განსაკუთრებული საჭიროებისთვის გათვალისწინებული
უნდა იყოს დაახლოებით 10-15 კორპუსის გამაგრებისთვის საჭირო პროექტის
შემენის თანხა - 300 000 ლარი.

- 2.5 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია-
  2015 წლისთვის გათვალისწინებულია მხატვრული მინათების ახალი
  წერტილების მოწყობისთვის 1 000 000 ლარი. ცხადია, რომ ეს გარკვეულწილად
  არამნიშვნელოვანი პროგრამაა, რომლის განხორციელების გადაუდებელი
  აუცილებლობა არ არსებობს, მაშინ როდესაც ბევრი სხვა ბევრად მნიშვნელოვანი
  ინფრაქტრუქტურული პროექტი თანხების უკმარისობის გამო ვერ ფინანსდება.
  შესაბამისად, უარი უნდა ითქვას ამ ტიპის პროექტების განხორციელებაზე და
  ბიუჯეტში ამ მიმართულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მიზერული
  თანხა, 300 000 ლარი.
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გამგეობებში -
  ისევე, როგორც საგზაო სამუშაოების შემთხვევაში, აქაც გაურკვეველია
  რაიონული გამგეობებისთვის გამოყოფილი ასიგნებების განსაზღვრის
  პრინციპი. მაგალითად, გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტი ამ
  მიმართულებით კვლავ რჩება ზუსტად იგივე, ნაძალადევის გამგეობაში ის
  მცირდება 100 000 ლარით, დიდუბეში იზრდება სამჯერ, საბურთალოზე ორჯერ
  და ა.შ. დასკვნა აქაც იგივეა, რომ თანხები გარკვეული სუბიექტური
  მოსაზრებებით განისაზღვრა და მას პირდაპირი კავშირი ქალაქში არსებულ
  საჭიროებებთან არ გააჩნია. ამასვე ადასტურებს გაანგარიშებაში არსებული
  უზუსტობები, მაგალითად: 1 გრძივი მეტრი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის
  ფასი სამგორის გამგეობას 200 ლარი აქვს მითითებული, კრწანისის გამგეობას 300,
  მაშინ როდესაც ანალოგიური სამუშაოს შესრულების ფასად კეთილმოწყობის

საქალაქო სამსახურს 90-100 ლარი აქვს განსაზღვრული; კრწანისის გამგეობას 1 გრძივი მეტრი სანიაღვრე ქსელის მოწყობის ფასი 300 ლარი აქვს, ხოლო კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს - 50-100 ლარი; ამავე მუხლში საბურთალოს რაიონის გამგეობას გამოყოფილი აქვს 200 000 ლარი ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად, ხოლო სხვა არცერთ გამგეობას ასეთი მიმართულებით ასიგნებები გამოყოფილი არ აქვს (ეს გაუგებარია, იმიტომაც, რომ ქალაქში შეიქმნა სსიპ ,,ტექნოლოგიური განვითარების ფონდი", რომლის მოვალეობაცაა ქალაქში ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა); სხვადასხვა გამგეობები ამ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას გეგმავენ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ზოგიერთი გამგეობებისთვის ამ მიმართულებით საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი ზრდა, როდესაც მათ ნაწილს დაფინანასება თითქმის იგივე რჩება დაუსაბუთებელია, თუნდაც იმიტომ რომ ქალაქი ინფრასტუქტურულად თითქმის თანაბრადაა განვითარებული. შესაბამისადქალაქის ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს ერთიანი მიდგომა რაიონების ინფრაქტრუქტურის შემდგომი განვითარების დაფინანსების შესახებ და ის არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ გამგებლის მოხერხებულობაზე დაარწმუნოს ისინი გარკვეული ოდენობით დაფინანსების გამოყოფის შესახებ (სხვა ვერაფრით აიხსნება, რომ ნამალადევის რაიონში დაფინანსება რჩება იგივე, ხოლო დიდუბეში ის სამჯერ იზრდება). შესაბამისად, 2015 წლის ბიუჯეტში კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გამგეობებისთვის გამოყოფილი ასიგნებები გარკვეულად თანაბარწილად უნდა გაიზარდოს, უნდა გასწორდეს გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომები, რაც ჯამურად გამგეობებისთვის გამოყოფილი ასიგნებების 4-4.5 მილიონი ლარით შემცირების და მათი სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გადანაწილების შესაძლებლობას იძლევა.

- 2.10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება სულხან-საბა ორბელიანისა და პ. ინგოროყვას ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაცია, რაზედაც 8 050 000 ლარი დაიხარჯება. ეს დანამდვილებით წყალში გადაყრილი ფულია, რადგან ამ შენობების უმრავლესობა მწვავე ავარიულ მდგომარეობაშია. ჩვენ ფრაქციებთან 21 ნოემბერს გამართული შეხვედრისა ააიპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" დირექტორი, თემურ ხომერიკი, დაეთანხმა ჩვენ მოსაზრებას და განაცხადა რომ ეს თანხები მიმართული უნდა იყოს სხვა უფრო მნიშველოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. შესაბამისად, მითითებული შენობების მხოლოდ ფასადების რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება 2015 წლის ბიუჯეტიდან არ უნდა განხორციელდეს.

- 4.9. ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია
  ამ პროგრამის ფარგლებში ფარგლებში იგეგმება 195 000 ლარის გამოყოფა საინვესტიციო პაკეტების შესაქმნელად. ეს დაფინანსება გასაუქმებელია, რადგან ინვესტორებთან ურთიერთობა, საინვესტიციო პაკეტების შექმნა ეს სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოსა" და ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მიერ უნდა ხდებოდეს.
- 6.2.11 ე.წ. ,,პოლიტიკური პატიმრების" უფასოდ მგზავრობა
  აბსოლუტურად გაუგებარია ამ მიზნით ბიუჯეტში 73 000 ლარის გათვალისწინება, როდესაც მისი მიზნობრიობა და სოციალური ეფექტიანობა დასაბუთებული არ არის. შესაბამისად, ის უნდა იქნას ამოღებული.
- 6.2.14.8 უფასო სასადილოებით მომსახურება დიდუბის რაიონში
  ყველა გამგეობას, გარდა დიდუბის რაიონისა, ერთი ბენეფიციარის ერთი დღის განმავლობაში კვება გაანგარიშებული აქვს 1.18 ლარზე. დიდუბის გამგეობა კი ამ მიზნით 1.4 ლარის დახარჯვას გეგმავს, რაც დაუსაბუთებელია. შესაბამისად, სხვა გამგეობის მსგავსად (1.18 ლარი) გაანგარიშების შედეგად ამ მიმართულებით დიდუბის გამგეობის ასიგნება უნდა განისაზღვროს 861 400 ლარით.

- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ბინის ქირის დასაფარად
  გაუგებარია საბურთალოს რაიონის გამგეობის მიდგომა ამ საკითხისადმი. კერძოდ, ეხლა ბინის ქირას სულ უხდიან 12 ოჯახს, ხოლო გაანგარიშებისას მიუთითებენ, რომ თანხას ითვალისწინებენ დამატებით 40 ოჯახის მომართვის შემთხვევაში. ასევე დაუსაბუთებელია სამგორის გამგეობის მოთხოვნა ასიგნებების მკვეთრი ზრდის შესახებ. შესაბამისად, 6.2.16.12 საბურთალოს რაიონის ასიგნება უნდა განისაზღვროს 100 000 ლარით; 6.2.16.14 სამგორის რაიონის გამგეობის - 450 000 ლარით.
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები თბილისის რაიონებში
  ამ მიმართულებითაც გაურკვეველია რაიონული გამგეობებისთვის გამოყოფილი ასიგნებების განსაზღვრის პრინციპი და ამ საკითხისადმი მერიის ხელმძღვანელობის მიდგომა. მაგალითად, ასიგნებები ამ მიმართულებით გლდანის რაიონში რჩება იგივე, ნაძალადევში მცირდება 244 000 ლარით; ვაკის რაიონში იზრდება 1 მილიონით და განისაზღვრება 1 800 000 ლარით, ხოლო საბურთალოს რაიონში იზრდება 192 500 ლარით და განისაზღვრება 942 400 ლარით. ნათელია, რომ თბილისელების სოციალური პრობლემები გაცილებით მეტი დაფინანსების გამოყოფას საჭიროებს ბუჯეტიდან და თუნდაც წარმოდგენილ პროექტში არსებული ასიგნებები ვერ უზრუნველყოფს მათ მოგვარებას. ამ თვალსაზრისით უფრო ეფექტური იქნება თუ ეს თანხები

დაიხარჯება მიზანმიმართულად დაგეგმილი სოციალური პროექტების დასაფინანსებლად (მაგალითად, უფასო მგზავრობის პროგრამა), ხოლო გამგეობებს სხვა სოციალური ღონისძიებების დასაფინანსებლად 2015 წლისთვის ასიგნებები მეტ-ნაკლებად თანაბარწილად გაეზრდებათ.

საკითხისადმი ასეთი მიდგომის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გამგეობების ასიგნებებიდან ჯამურად 2-2.5 მილიონი ლარი მიმართული იქნეს ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული თუ გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

- 7.2.4 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება
  სარეკლამო მომსახურებაზე გამოყოფილი ასიგნებები მომავალ წელს იზრდება 285 000 ლარით, რისი აუცილებლობაც ნამდვილად დაუსაბუთებელია. შესაბამისად, ამ მიმართულებით 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას იგივე ოდენობის თანხა, რაც იყო 2014 წლის ბიუჯეტში.
- 7.2.8 შრომის ბაზარზე პროფესიული რეალიზების ხელშეწყობა
  ამ მიმართულებით დაგეგმილია საერთაშორისო სასწავლო კურსების ჩატარება (120 000 ლარი) და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროექტის განხორციელება (50 000 ლარი). არც ერთი მათგანის ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზანი და ეფექტურობა დასაბუთებული არ არის, შესაბამისად მათი დაფინანსება უნდა იქნას ამოღებული.
- 10 ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები
  2015 წლიდან მხოლოდ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებსა და რაიონების გამგეობებში (გარდა უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისა) მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამში 178 ერთეულით იზრდება, რაც მხოლოდ სახელფასო ფონდის ზრდას იწვევს 3 020 500 ლარით, რომ არაფერი აღარ ვთქვათ საპრემიო ფონდის თუ სხვა დამატებითი ხარჯების შესახებ. საჯარო მოხელეთა რაოდენობის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა და ამ მიზნით დასახარჯი ადმინისტრაციული ხარჯების თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება კატეგორიულად მიუღებელია.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტით გამოყოფილი ასიგნებები სხვა ბევრი მიმართულებითაც აჩენს კითხვებს: ცხოველთა მონიტორინგისთვის შექმნილი 127 კაციანი ახალი სტრუქტურული ერთეული (მთლიანად მის დაფინანსებაზე 3 054 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც ცხოველთა მოვლა-შენახვაზე მხოლოდ 156 578 ლარი იხარჯება);დინამოს სტადიონის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 9 მილიონი ლარის მიზნობრიობა; მერიის ადმინისტრაციის საქონელი და მომსახურების მუხლის ზრდა 2 378 500 ლარით; შეუსაბამობები ინფრასტრუქტურული პროექტების

განხორციელებისას ფასებში სხვადასხვა გამგეობებსა და კეთილმოწყობის სამსახურის გაანგარიშებებში, გამგეობების მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წარმოდგენილი მისამართების რეალურობა (ეს ცხადი გახადა სამგორის გამგეობის საგზაო სამუშაოებზე წარმოდგენილმა მისამართებმა, როდესაც აღმოჩნდა რომ მათი უმრავლესობა უკვე შეკეთებული იყო და აღარ საჭიროებდა საბიუჯეტო თანხების გამოყოფას) და სხვა. შესაბამისად, გარდა ჩვენს მიერ კონკრეტულად მითითებული პროგრამებისა, თბილისის მერიამ მთლიანობაში კარგად უნდა გადაამუშავოს წარმოდგენილი პროექტი, გახადოს ის უფრო რეალური და რაც მთავარია არსებულ პრობლემებზე უფრო ადეკვატურად მორგებული.

➢ ბიუჯეტის ასიგნებები - ჩვენი შეთავაზებები

1. <u>სოციალური უზრუნველყოფა</u>

გაზრდილი უმუშევრობა, კიდევ უფრო გაღარიბებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, გაზრდილი ფასები, შეფერხებული ეკონომიკური ზრდა, რაც თბილისელებს კიდევ უფრო ურთულებს ცხოვრებას დედაქალაქში, გვარწმუნებს, რომ მოსახლეობის სოციალური პრობლემების ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტის მიზნით თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პროგრამები:

- ასაკით პენსიონერებისათვის (თბილისში ასეთი 190 000 ადამიანია) ყოველთვიური 10 ლარიანი საპენსიო დანამატი 2015 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე - ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღიარა არსებული პენსიის ზრდის ობიექტური აუცილებლობა, თუმცა ამას ვერ ახერხებს 2015 წლის 1 სექტემბრამდე. აღნიშნული პროგრამა მცირე შეღავათი მაინც იქნება თბილისში მაცხოვრებელი პენსიონერებისათვის, რომელთა ხარჯები სხვა რეგიონებში მაცხოვრებელი პენსიონერებთან შედარებით უფრო დიდია. ჯამში ამის დაფინანსებას 15 200 000 ლარი დასჭირდება.
- მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობა 70000 სარეიტინგო ქულამდე სოციალურად დაუცველების, პენსიონერების, პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის - გასულ წლებში გამართულად მომუშავე მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემის შექმნის პარალელურად, ჩვენს მიერ დაინერგა მგზავრობის ფართო საშეღავათო სისტემა, რომლითაც 600 000-მდე თბილისელი სარგებლობს. დარგის განვითარების დადებით კურსზე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის რაოდენობის ზრდაც მიანიშნებს. სწორედ ახლა

მნიშვნელოვანია და შესაძლებელია კიდევ მეტი შეღავათი მიეცეთ ადამიანების ამ ჯგუფებს, რომელთა შემოსავალი გაუარესებული ცხოვრების დონის გამო ვეღარ ფარავს მათ საარსებო ხარჯებს. ამ მიზნით ბიუჯეტიდან დამატებით 9 500 000 ლარის გათვალისწინება იქნება საჭირო.

- ბაღის ვაუჩერის შემოღება - მუნიციპალური საბავშო ბაღების სისტემის განვითარება მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა (შედარებისთვის: 2006 წელს ბაღებში ჯამურად იყო დაახლოებით 27 000 ბავშვი, 2012 წელს - 43 000 ბავშვი, 2014 წელს - 52 000 ბავშვი), არ არის საკმარისი, იმისათვის რომ ამ მომსახურებით დაკმაყოფილდეს ყველა მსურველი. დაახლოებით 10 000-მდე ბავშვი მიმართვის მიუხედავად მიმდინარე წელს საბავშვო ბაღის მიღმა აღმოჩნდა. მუნიციპალური საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომელიც ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად დასახა თბილისის მერიამ დროში საკმაოდ გაწელილი და ძვირი პროექტია. თუნდაც აღნიშნული 10 000 ბავშვის დასაკმაყოფილებლად (თუმცა 5 წლამდე ბავშვები, რომლებიც მუნიციპალურ ბაღში არ დადიან, დაახლოებით ორჯერ მეტია) საჭიროა მინიმუმ 15-20 ახალი საბავშვო ბაღის აშენება ან/და მოწყობა, რასაც მინიმუმ 3 წელიწადი მაინც დაჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა პრინციპულად მცდარია, გვსურს თბილისის მერიას მოვუწოდოთ, რომ სანამ სხვადასხვა პრობლემების გამო ბავშვები რჩებიან საბავშვო ბაღის გარეშე და მშობლები ამით გამოწვეული მწვავე პრობლემების პირისპირ, 2015 წლის სექტემბრიდან შემოვიღოთ ყოველთვიური 100 ლარიანი ვაუჩერი თითოეულ ბავშვზე (სწორედ ამდენი იხარჯება ერთ აღსაზრდელზე თვეში მუნიციპალურ საბავშვო ბაღში). აღნიშნული, ერთის მხრივ მომავალ წელსვე მოაგვარებს მშობლებისთვის პრობლემას და უფრო ეფექტურად აღმოფხვრის საბავშვო ბაღებში ადგილების დეფიციტს, ხოლო მეორეს მხრივ გამოიწვევს კერძო საბავშვო ბაღების სისტემის განვითარებას და ამ სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. კერძოდ, მუხლი 7.1 – „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა" – ში გათვალისწინებულია 85 000 000 ლარი. აღნიშნული მუხლის პრიორიტეტების ჩაშლაში ვკითხულობთ, რომ მომავალ წელს იგეგმება 8 ახალი ბაღის აშენება და აღჭურვა. სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად კი 2015 წლის შემოდგომიდან თბილისის ბაგა–ბაღებში შესაძლებელი იქნება 55 000 ბავშვის მიღება, თუმცა რეალურად, დღეისათვის, საჭიროა კიდევ მინიმუმ 10 000 ადგილი, რასაც ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ ჩვენს პასუხად გამოგზავნილი წერილიც ადასტურებს და რაც იმას ნიშნავს რომ 10 000-მდე ბავშვი მაინც ბაღის გარეშე დარჩება. 8 ახალი საბავშვო ბაღის ასაშენებლად

და მათი შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით აღსაჭურვად 2015 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 15 461 342 ლარი (14 661 342 – ბაღების მშენებლობა + 800 000 აღჭურვა). ფაქტია, რომ ვერც 8 ახალი ბაღის აშენებით ვერ ხერხდება ადგილების დეფიციტის პრობლემის მოგვარება, სწორედ ამიტომ, ჩვენ გთავაზობთ იგივე თანხაში ოპტიმალურ, უფრო ეფექტურ გამოსავალს: აშენდეს 6 ახალი (რაც დამატებით 3 000 დამატებითი ადგილია), რომელზედაც დაიხარჯება 12 მლნ ლარი. 1 სექტემბრიდან კი დანაზოგი თანხით იმ ოჯახებს, რომლის ბავშვიც ვერ მოხვდება მუნიციპალურ საბავშვო ბაღში დაურიგდეს 400 ლარიანი ვაუჩერი (თვეში 100 ლარი წლის ბოლომდე დარჩენილ 4 თვეზე). 2 ბაღის ასაშენებლად (რომელიც 1000 ბავშვს მოემსახურებოდა) გამოყოფილი დაზოგილი თანხით (3 461 342 ლარი) შესაძლებელი იქნება თბილისის მთავრობის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით 8 600 ოჯახისთვის ამ ტიპის ვაუჩერის მიცემა, რაც ფაქტიურად 2015 წლის 1 სექტემბრიდან საბავშვო ბაღებში ადგილების პრობლემის სრულად მოგვარების ტოლფასი იქნება.

2. <u>ქალაქის ინფრასტრუქტურა - „თბილისი საცობების გარეშე"</u>

- „თბილისი საცობების გარეშე"-
„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნა ქალაქის ინფრაქსტრუქტურის განვითარების თვალსაზრისთაც. შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასრულების (მაშინ როდესაც სამუშაოების 80% დასრულებულია) უმიზეზოდ და უვადოდ გადადებამ, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის (სამტრედიის ქუჩასთან) მშენებლობაზე უარის თქმამ ფაქტიურად დედაქალაქს განვითარების პერსპექტივა მოუკლა. განსაკუთრებით მწვავედ ეს გადაწყვეტილებები აისახა საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებაზე, რაც დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის აუტანელ საცობებს ქმნის. გასულ წლებში პერიოდში აშენებულმა ახალმა გზებმა, გვირაბებმა, ესტაკადებმა ბევრ მონაკვეთზე მოძრაობა განტვირთა და ააჩქარა, თუმცა ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტების გაჩერება და ამ მიმართულებით ახალი ნაბიჯების გადაუდგმელობა განხორციელებული წარმატებული პროექტების შედეგებსაც ამცირებს. შესაბამისად, ქალაქის საცობებისგან განსატვირთავად აუცილებელია მინიმუმ შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა ესტაკადით; გივი კარტოზიას ქუჩის ზახტრიონის გვირაბის თამარაშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი უსახელო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა; ვერის ხეობიდან გამომავალი ახალი მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება გმირთა მოედანზე არსებულ, ლაგუნასკენ მიმავალ გვირაბთან; სარაჯიშვილის ქუჩის (ვაშლიჯვარი) მარშალ გელოვანთან დაკავშირება ესტაკადით; მარშალ გელოვნის მოედანზე (ვეფხვი და მოყმესთან) საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (გვირაბით); სააკაძის მოედანზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა გვირაბით; უნივერსიტეტის ქუჩის და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა; კოჯრის გზატკეცილის დაკავშირება (თაბორის მთის გავლით) გორგასალის ქუჩასთან (ახალი გზის მოწყობა); გალაქტიონის ხიდის მარცხენა მხარეს (უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ასასვლელი) პანდუსის მოწყობა; მუხათგვერდისკენ მიმავალი ხიდის რეკონსტრუქცია და მოძრაობის აღდგენა; შეშელიძის და გობრონიძის ქუჩის კვეთასთან მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (მუხიანიდან მოძრავი მანქანებისთვის);მდინარე მტკვარზე მარნეულის და რუსთავის გზატკეცილის ქვემო სამგორთან დამაკავშირებელი ხიდის აშენება - ეს ჩამონათვალია ნაწილი იმ სატრანსპორტო კვანძების, სადაც განსაკუთრებით მწვავეა სატრანსპორტო საცობების პრობლემა. შესაბამისად აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ყველა ამ კვანძის პროექტირების ხარჯი და ასევე თანხა მშენებლობისთვის, რომელთა აშენება მომავალ წელს უკვე შესაძლებელი იქნება. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს 20 000 000 ლარი ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტირებისათვის და მინიმუმ 2 სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქციისათვის, რამაც ქალაქში არსებული სატრანსპორტო საცობების პრობლემა ყველაზე მწვავე ადგილებზე უნდა გადაჭრას.

- „იაფი ცხელი წყალი და გათბობა“-
  მნიშვნელოვანია ბინათმესაკუთრეთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში გათვალისწინებული იყოს იაფი ცხელი წყლითა და გათბობით მოსახლეობის უზრუნველყოფის პროგრამა. ეს სისტემა, რომლის საპილოტე ვარიანტი უკვე განხორციელდა, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში მხოლოდ მზის ბატარეების გამოყენებით, ბუნებრივი აირის გარეშე, უზრუნველყოფს ცხელი წყლის მიწოდებას, ხოლო წელიწადის დანაჩენ პერიოდში (ძირითადად ზამთრის

განმავლობაში) 30 პროცენტით ამცირებს ბუნებრივი აირის ხარჯს. შესაბამისად, ამ სისტემის დანერგვით მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მაცხოვრებელ ოჯახებს კომუნალურ ხარჯებს მნიშვნელოვნად შეუმცირებს. ამასთან, ამ პროექტის გათვალისწინება არ იწვევს სავალდებულოდ ამ პრიორიტეტის დაფინანსების ზრდას.

3. <u>ეკონომიკის მხარდაჭერა</u>

მიუხედავად ამ მიმართულებით წინასაარჩევნოდ გაკეთებული დაპირებებისა, მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა მომავალ წელს 3 372 700 ლარით შემცირდება და მხოლოდ 2 127 300 ლარით დაფინანსდება. შეფერხებული ეკონომიკური ზრდისა და გაზრდილი უმუშევრობის ფონზე, აბსოლუტურად გაურკვეველია ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ისედაც მწირი თანხების კიდევ უფრო შემცირება.

იმავდროულად ხაზგასასმელია, რომ შეწყდა და აღარ გრძელდება ქალაქის ისტორიული ნაწილის ავარიული შენობებისგან გათავისუფლების, იქ მცხოვრები მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამა ,,ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე". ფაქტია, რომ ქალაქის ცენტრში, მის ისტორიულ ნაწილში მრავალი მწვავედ ავარიული სახლია. ამ უძრავი ქონების საინვესტიციო პონტეციალი საკმაოდ მაღალია, თუმცა სამშენებლო შეზღუდვების, მაღალი ფასებისა და სხვა ფაქტორების გამო მოსახლეობას უჭირს საკუთარი ძალებით მათი მოძებნა და დაინტერესება. გასულ წლებში თბილისის მერია საბიუჯეტო დაფინანსებით თავად ამაგრებდა და რეაბილიტაციას უკეთებდა ამ შენობების ნაწილს და ასევე მოქმედებდა ზემოთაღნიშნული პროექტი ,,ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე", რომელიც კერძო კომპანიებისთვის ამ პროექტებით დაინტერესებისთვის ქმნიდა გარკვეულ ფინანსურ გარანტიებს.

ქალაქში სამშენებლო ბიზნესისა და უძრავი ქონების ბაზრის განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის, ავარიული საცხოვრებელი შენობებში მაცხოვრებელი მოსახლეობის საბინაო პრობლემების მოგვარების მიზნით, მნიშვნელოვანია თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს პროგრამა თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრულ არეალში (თბილისის ისტორიულ ნაწილში) ავარიული შენობების (რომლებიც გამაგრებას აღარ ექვემდებარება) ადგილზე საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ეს შეიძლება იყოს ,,იაფი სესხის" პროგრამის

გაფართოება, მიზანმიმართულად ამ ტიპის პროექტების დაფინანსების ხელშეწყობაზე ან „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ მსგავსი პროგრამა.

ზემოაღნიშნული მიზნით თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური პროგრამა.

2. ფრაქციების გაერთიანებული სხდომები გაიმართა ასევე 2015 წლის ახალგაზრდული ოლმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც მოიცავდა ოლიმპიადის ბიუჯეტის, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების და ინფასტრუქტურის პრობლემური საკითხების განხილვას, სადაც მოწვეულნი იყვნენ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი არეშიძე და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისობა 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები. სადაც ფრაქციების წევრების მხრიდან გაიცა არაერთი სარეკომენდაციო ხასიათის მითითება და შენიშვნები.

3. ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე მოწვეული იყო ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გეგი ნიჟარაძე, მისი აქტიური მონაწილეობით მერიის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომაზე 2015 წლის 29 იანვარს მომხდარი ინციდენტის საკითხის განხილვისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აპარატის უფროსის ჯოკია ბოდოკიას საქმესთან (ჯოკია ბოდოკია - ქრთამი 180 000 აშშ დოლარი, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სამუშაობზე ზედამხედველობის პროცესში დახმარების სანაცვლოდ) დაკავშირებით არსებულ შეკითხვებზე საპასუხოდ.

4. ასევე ფრაქციების მიერ მოთხოვნილი იქნა თბილისის მერის, დავით ნარმანიას ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე დაბარება მის მიმართ არსებულ მწვავე შეკითხვებზე საპასუხოდ და მთელი რიგი პრობლემური საკითხების განხილვის მიზნით. კერძოდ, საკადრო გადაწყვეტილებების დროს დაშვებულ შეცდომებზე, თბილისის მერიაში არსებულ ტოტალურ კორუფციაზე (ჯოკია ბოდოკია - 180 000 აშშ დოლარი, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სამუშაობზე ზედამხედველობის პროცესში დახმარების სანაცვლოდ; მიხეილ ქვირია - 10 000 აშშ დოლარი უმრავი ქონების შეძენაში დახმარების სანაცვლოდ; მამუკა ცაავა - 3 000 ევრო მერიაში დასაქმების სანაცვლოდ), თბილისის ბიუჯეტში საკრებულოს კონტროლის მექანიზმების გაუქმებაზე მიღებულ გადაწყვეტილებასა და გაჩერებული პროექტების თაობაზე.

5. ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - თბილისი"-ის და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

თანამშრომელთა კონკურსი/ატესტაციის გამჭირვალედ და ობიექტურად წარმართვის მიზნით შემუშავდა დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებდა თბილისის მთავრობის წევრების აშკარა, წინასწარ გაცხადებული და ფაქტებით დადასტურებული სუბიექტივიზმის შესაძლებლობას. პროექტი ითვალისწინებდა: შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის #11-22 დადგენილებაში და შემოტანილი იქნას გასაუბრების ეტაპის ვიდეომეთვალყურეობის ნორმა.

ზემოაღნიშნული ცვლილებით დაცული იქნებოდა კონკურის მონაწილეთა უფლებები ქონოდათ უსაფრთხო და თანასწორი გარემო და დავის შემთხვევაში მიეღოთ უტყუარი მტკიცებულებები.

6. ფრაქციების წევრების მიერ მუდმივად კეთდებოდა განცხადებები, თვალსაჩინოებისათვის პრეზენტაციებიც, საგზაო სამუშაოების წარმოებისას ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ გამოვლენილი ტენდენციურობის, არაპროფესიონალიზმის, უუნარობისა და ტენდერების (ანუ კონკურენტული ვაჭრობის) გარეშე ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ. მუდმივად, ზახგასმით აღინიშნებოდა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ხდებოდა ,,სახელმწიფო შესყიდვების კანონის" მოთხოვნების შეუსრულებლობა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ვალდებულების უზრუნველყოფისა და ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარების უგულვებელყოფა, რაც განაპირობებდა თბილისის ბიუჯეტიდან ზედმეტად ასეულობით ათასი ლარის გაფლანგვას. ამავდროულად არ სრულდება სამუშაოების ნაწილი, ხოლო შესრულებული სამუშაოები იყო უხარისხო, ვინაიდან ხელშეკრულებები ფორმდებოდა ფირმებთან, რომლებსაც ასფალტის სამუშაოების წარმოების არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ.

7. ფრაქციების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილისის'' მიერ სხვადასხვა საკითხებზე საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს გაეგზავნათ 304 მოთხოვნა.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინანადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

ფრაქციების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილისის'' მიერ ამომრჩეველთა განცხადებებთან დაკავშირებით, მომზადდა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მიემართა 270 განცხადება/ შუამდგომლობით.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასვლითი ღონისძიებების სახით განხორციელდა მოქალაქეებთან შეხვედრები.

ფრაქციებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობას'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილის"-ის წევრების მიერ საკრებულოს მუნიციპალიტეტის შენობაში კონსულტაცია/დახმარების გაწევის მიზნით მიღებული იქნა 375 მოქალაქე.

2015 წლის 20 ოქტომბერს ფრაქციების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და ,,ნაციონალური მოძრაობა - თბილისის'' მიერ თბილისის მუნიციპალიტატეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მოხდა ამომრჩევლებთან შეხვედრა და წლიური ანგარიშის წარდგენა.

1. სევდია უგრეხელიძე
2. ირაკლი აბესაძე
3. თამაზ შოშიაშვილი
4. მამუკა ახვლედიანი
5. თემურ გრიგალაშვილი
6. ირაკლი ნადირაძე
7. მარინა დათუკიშვილი